

**ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობები
თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში
(შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების
ქართულის“ მიხედვით)**

**SOME PHONETIC VARIATIONS OF PREVERBS
IN THE IDIOM OF GEORGIANS IN TURKEY
(ACCORDING TO GEORGIAN LANGUAGE
OF CHVENEUREBI BY SHUSHANA PUTKARADZE)**

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
გორი. საქართველო

Mariam Koberidze

Gori State Teaching University
Gori. Georgia

ABSTRACT

the proposed work presents cases of the parallel use of variations that arose as a result of some phonetic changes (assimilation, dissimilation, etc.) of the vowel element that is constituent of the preverb in Imerkheuli, on the basis of analysis of texts recorded and published by Shushana Putkaradze.

As a result of phonetic changes, the preverbs (a-, ga-, da-, ča-, ča-, še-, amo-, gamo-, čamo-, šemo-, čamo-, gada-, gadmo-) that occur in the Georgian literary language, may appear in Imerkheuli in the following form: a>e, a>i, a>o; ga>go, ga>gu, ga>ge, ga>gi; da>de, da>di, da>do, da>du, da>di; č>čo, ča>či, ča>če; ča>će, ča>čo, ča>či, ča>ču; še>ši, še>šu, še>šo, še>ša; mo>me, mo>ma, mo>mæ; amo>ame, amo>ama, amo>amæ; chamo>chame, chamo>chama; tsamo>tsame, tsamo>tsama; shemo>shame, shemo>shamo, shemo>shama; shemo>shamu; gada>gede, gada>godo; gada>gudu; gadmo>gadmw; gamo>gama, gamo>gamw . Mainly three vowels - a, e, and o - alternate in preverbs.

Sh. Putkaradze holds that, given the outcomes of phonetic processes of vowel complexes found in verbal forms, the Imerkhevi dialect stands closer to the Livanian speech, and both of these dialects come close to the Eastern Georgian language sphere (Meskhan-Javakhan, Kartlian and so on), rather than to the Western Georgian one. The Imerkhevi dialect is among the Eastern dialects. Even though Imerkhevi and a larger part of Upper Adjara territory are situated near to each other, their dialect differences are quite obvious which are justified by the history of these regions. Imerkhevi, as part of Klarjeti, was included in Zemo Kartli (i.e. the Upper Kartli) prior to the Ottoman rule, while Adjara was much more connected to the Western Georgian world.

საკვანძო სიტყვები: თურქეთელი ქართველები, ქართული დიალექტები, მუჰაჯირების მეტყველება, იმერხეული დიალექტი, ზმნისწინი.

Keywords: Georgians from Turkey, Georgian dialects, speech of Muhajirs, Imerkhebian dialect, preverb.

ნაშრომში წარმოდგენილია შუშანა ფუტკარაძის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული ტექსტების ანალიზის საფუძველზე იმერხეულში ზმნისწინის შემადგენელი ხმოვნითი ელემენტის ზოგი ფონეტიკური ცვლილებების (ასიმილაციის, დისიმილაციის...) შედეგად წარმოქმნილი ვარიანტების პარალელური გამოყენების შემთხვევები.

ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული ზმნისწინები (**ა-, გა-, და-, ჩა-, წა-, შე-, ამო-, გამო-, ჩამო-, შემო-, წამო-, გადა-, გადმო-**) იმერხეულში ფონეტიკური ცვლილების შედეგად შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა სახით. საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფონეტიკურად იცვლება ზმნისწინებში წარმოდგენილი ოთხი ხმოვანი: **ა** (ა-, გა-, და- ჩა-, წა-), **ე** (შე-), **ი** (მი-) და **ო** (მო-) (ჯორბენაძე 1998: 610).

შ. ფუტკარაძის მოსაზრებით, იმერხეულში ზმნისწინისეული ხმოვნების ფონეტიკურ ცვლილებას იწვევს ქცევის „ა“, „ი“, „უ“ და ვნებითის „ი“, „ე“ მანარმოებლების ზემოქმედება. ზმნისწინისეული „ა“ და „ო“ ხმოვნები ფუძისეულ „ი“ ხმოვანთან მეზობლობაში იცვლებიან. ასიმილაციის ძალა აქვს ფუძისეულ „ი“ ხმოვანს. ასიმილაცია ასეთ პოზიციაში არის რეგრესული, ნაწილობრივი, კონტაქტური და დისტანციურიც. ოი > ეი: ყანა მეიჭნა; გულში გამეიკოჭა აჭარელმა. აი > ეი: საქმე არ დეილევა; გეიტანებენ მეზელულზე; გემიყვანეს გალმა; მე არ წემიყვანეთ. იგივე შემთხვევა დასტურდება ლივანურ მეტყველებაში. მაგ.: ბევრი იერებიანა მენახულოს; მერდივანი ქოლგეში გამეიტათ; ბათუმი დანახვა მეც მემინდა (ფუტკარაძე 2016: 104, 197).

სოფელ თეთრაკეთის მეტყველებაში შ. ფუტკარაძეს დადასტურებული აქვს საყურადღებო და საინტერესო ზმნური ფორმა „მევდა“, სადაც ფუძისეული „ი“ ხმოვანი „ო“ ხმოვანს იმსგავსებს, აქცევს „ე“ ხმოვნად და შემდეგ ფუძიდან ქრება. მაგ.: მევდა აქორდეონჯი (შდრ. ქართული ენის დასავლური კილოები: მევიდა; აჭარული: მოვდა). იმერხეულში ჩვეულებრივია „წევდა“ „ჩევდა“ ფორმები. დამახასიათებელია აგრეთვე ზემოაჭარულისათვის, რომელიც ტერიტორიულად ემეზობლება იმერხეულს (ფუტკარაძე 2016: 2016). მაჭახლურში დასტურდება „მივდა“ ფორმა. მაგ.: ჰვზრეთი ალის ცხენი ჩვენ ფე^ალამბერას მივდა (იქვე: 367).

ფუძისეულ „ი“ ხმოვანთან დამსგავსების გამო (რომელიც შემდეგში იკარგება) ზმნისწინისეული „ა“ და „ო“ ხმოვნები წარმოდგენილია შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობით: ა > ე; და > დე; მო > მე; წა > წე; ჩამო > ჩამე; ამო > ამე. მაგ.: ევდენ გზაში; დვენახოთ ახრაბები;

მევეკონოთ გურჯიჭა; ვერ წევკითხეთ; ბაბაი ჩამევეყანე; თაქსილამ შემა ამეველე (ფუტკარაძე 2016: 57).

დისტანციური, სრული, რეგრესული ასიმილაციის შედეგად სასხვისო ქცევის „ი“ ნიშანთან ზმნისწინისეული „ა“ ხმოვანი იქცევა „ი“-დ. მაგ.: გიმიგონია იმთერი გვარები; არ დიგიპუნკო საქმე; ვიტირე, წიმიყვანეთ-მეთქი. სასხვისო ქცევის „ი“- ნიშნის ზემოქმედების შედეგად ხდება პრევერბისეული „ე“ ხმოვნის დამსგავსება. მაგ.: ჯანი არ შიგინუხოს ღმერთმა. მაასიმილირებელ ხმოვნად გვევლინება სათავისო ქცევის ნიშანიც. მაგ.: გიმიყვანე ოსმანლიში; მშვიდობით ჩიგიყვანოს; წიგიყვან გოგოსთან; შიმიწახა და ოდაში. იმერხეულისათვის დამახასიათებელი ფორმები: წივიდეთ, წივილოთ, წივიყვანოთ წივლებთ, წივდენ უცხოა აჭარულისათვის (აჭარულში იქნება: წევდეთ, წევლოთ, წევყვანოთ, წევლებთ) (ფუტკარაძე 2016: 107).

ასიმილაციას ვხვდებით რთულ ზმნისწინებშიც: გადაი > გედეი.

მაგ.: საჩინოთილამ გედეიარ (ფუტკარაძე 1993: 173).

იმერხეულში, აჭარულის მსგავსად, ზმნისწინისეული „ა“ და „ე“ ხმოვანი წარმოდგენილია „ი“ ხმოვნით, რაც ახსნილია სასხვისო ქცევის ნიშანთან სრული ასიმილაციით. აი > იი; ეი > იი. მაგ.: თვალედი დიმიფაქუნა (და > დი)“; „მე არ შიმირიოს“ (შე ში) (ფუტკარაძე 2016: 57). მსგავსი ფორმები დასტურდება ქვემოიმერულის სამტრედიულ თქმაში (კუბლაშვილი 1985: 224).

ფონეტიკური პროცესების საინტერესო სურათს გვაძლევს „უ“ ზმნური პრეფიქსის ზემოქმედების შედეგად „ა“ ხმოვნის შემცველი ზმნისწინები (ნაწილობრივი, კონტაქტური, რეგრესული ასიმილაცია).

დაუ > დოუ: „დოუკეთებიან (და>დო) სალონები“; გაუ > გოუ: „გოუტენიან ქენარები“ (გა>გო); წაუ > წოუ: „წოულიან ისაც“ (წა > წო); ჩაუ > ჩოუ: „ფქვილს ჩოურევენ“ (ჩა > ჩო); აუ > აოუ: „ლობიოს ოურევ“; გადაუ > გადოუ > გოდოუ: „გოდოუდგებიან წინ“. ნაწილობრივი ასიმილაციის მაგალითები, იმერხეულისაგან განსხვავებით, მაჭახლურში იშვიათად იჩენს თავს. მაგ.: „ბარზმელსა ჩოუდებთ კალათაში“ (ფუტკარაძე 2016: 105, 239).

იმერხეულში ზმნისწინისეული „ა“ ხმოვანი სრული ასიმილაციის შედეგად იქცევა „უ“ ხმოვნად. მაგ.: გუუტეხია; კარი მუუზარი; ხულას გუდუუხედავთ; გამუუტანებია შუახეველსა; ხამარ დუუსობთ; შამუურიგებენ დამსწრეს; წინდა გუდუუკვეთია. მსგავსი საილუსტრაციო მაგალითები დასტურდება მესხურ-ჭავჭავურშიც. ამ მხრივ იმერხეული მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლური დიალექტებისაგან, განსაკუთრებით აჭარულისაგან, სადაც სრული ასიმილაციით მიიღება გრძელი ხმოვნები (ფუტკარაძე 1993: 176; 2016: 105). ცენტრალურ ქართლურში, სოფელ საგურამოს მეტყველებაში, დასტურდება სრული ასიმილაციის საფუძველზე „მო“ ზმნისწინის „მუ“ ფონეტიკური ვარიანტი. მაგ.: მეცამეტედ ის მუყვანიათ (იმნაიშვილი 1974 (2): 7).

იმერხეულში ხმოვანთა რეგრესული დისიმილაციის შედეგად „ა“ პრეფიქსთან ზმნისწინისეული „ე“ წარმოდგენილია „ი“ ხმოვნით (ეა > ია). მაგ.: მანონ შიაცენებენ (შე > ში); შიარგონა იმათაც (ფუტკარაძე 2016: 57).

იმერხეულში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მასიმილირებელ ხმოვნად გამოდის „ი“ სათავისო ქცევის ნიშანი. მაგ.: შვიდობით ჩიგიყვანოს; წიგიყვან გოგოსთან; დესტანში მე არ შიმიროს (ფუტკარაძე 2016: 107). მსგავსი მოვლენა დასტურდება ცენტრალურ ქართულშიც (იმნაიშვილი 1974 (2): 14, 90; კობერიძე 2015: 53).

იმერხეულში ზმნისწინისეული „ო“ ხმოვანი საარვისო ქცევის „ა“ ნიშანთან რეგრესული დისიმილაციის შედეგად იქცევა „ჟ“-დ: თა > უა > ჟა. მაგ.: „შორვას მჟადულებენ (მო > მჟ); „ვირი გადმჟარდნილა“ (გადმო > გადმჟ) (ფუტკარაძე 2016: 60).

შ. ფუტკარაძის მოსაზრებით (ზმნურ ფუძეებში რეალიზებული ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესების შედეგების გათვალისწინებით), იმერხეული უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან (მესხურ-ჭავჭავურის, ქართლური), ვიდრე დასავლურთან. იმერხეულში, აღმოსავლური დიალექტების მსგავსად, „მო“, „შე“, „ამო“, „ჩამო“, „წამო“, „გამო“, „შემო“ ზმნისწინები უმთავრესად წარმოდგენილია „მა“, „შა“, „ამა“, „ჩამა“, „წამა“, „გამა“, „შამა“ სახით (ფუტკარაძე 2016: 114; იმნაიშვილი 1974 (2): 208; სომხიშვილი 1968: 65; სალარიძე 1978: 75; კობერიძე 2015: 52).

გრ. იმნაიშვილი ქართულთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „შე“ ზმნისწინის ნაცვლად „შა“-ს ხმარება ისე ხშირი არ არის, როგორც „მო“-ს ნაცვლად „მა“. „შე“ ზმნისწინის ნაცვლად „შა“-ს ნაკლებად ხმარებას ხელს უწყობს ის, რომ „აე კომპლექსი რეგრესული ასიმილაციით გვაძლევს ეე-ს, ამიტომ ისეთ ზმნებთან, რომელთაც აქვთ თავკიდურ ხმოვნად ვნებითის თუ ფუძისეული ე, ქართულში ჩვეულებრივ გვაქვს შე- (და არა შა-); მაგ.: შეეკითხა, შეეჭიდა, შეებრძოლა, შეეპარა, შეეძლო, შეერთდნენ და სხვ.“ (იმნაიშვილი 1974 (1): 208-209). განსხვავებული მოსაზრების მიხედვით, არ გამოირიცხება ანალოგია ა-ხმოვნთან ზმნისწინებთან (ჯორბენაძე 1998: 616).

იმერხეულში ფართოდ არის გავრცელებული კონტაქტური ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად ზმნისწინთა ფონეტიკური ცვლილებები. მაგ.: ამოი > ამეი: ამეილებს თაფლსა; გამოი > გამეი: გამეიშუშვებ, კაია; ჩამო > ჩამეი: ნამყენი ჩამეიტანეს; გადმოი > გადმეი: ამგედუვიდამ გადმეიარს; მოი > მეი: მეთჯვიეს ის; ჩაი > ჩეი: სოვნი ჩეიბარა; შამოი > შამეი: აქაც შამეილეს ახალი ადეთი; წამოი > წამეი: წამეიყვანს ჯარებსა. მსგავს შემთხვევაში „ეი“ კომპლექსი აჭარულში ამჟღავნებს დიფთონგიზაციისადმი მიდრეკილებას (შედეგად გვაქვს ეჲ დამავალი დიფთონგი) (ნიჟარაძე 1961: 31; ნიჟარაძე 1975: 74; ფუტკარაძე 2016: 109).

განალიზებული მაგალითების საფუძველზე შ. ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ ყველაზე ჭარბად იმერხეულში მარტივი „მო“ ზმნისწინის „მა“ ვარიანტი გვხვდება. მაგ.: პური მამართვან; მემრე სადილი მათქვან; ე თითი მააშორებს, ესა მაახლოებს; მაარუნიე ერთი ქაშერა, მაარუნიე ყუელგან; შეშინდა კაცსა, მაგონდა ღმერთი (ფუტკარაძე 1993: 263, 203, 264, 265).

ზმნისწინის აღნიშნული ფონეტიკური ვარიანტი უცხო არ არის ქართული ენის სხვა დიალექტებისათვისაც (ქართლური, კახური, იმერული) (მარტიროსოვი... 1956: 35; ძონენიძე 1973: 29,65; ჯორბენაძე 1998: 613; კობერიძე 2015: 54). ცვლილების მიზეზი ენათმეცნიერთა მიერ სხვადასხვანაირად არის ახსნილი. ზემოთხსენებულისა და ქვემოთხსენებულის საილუსტრაციო მაგალითების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევენ, რომ ეს ცვლილება დისიმილაციის შედეგია. ე. ძონენიძის აზრით, „მო“ ზმნისწინს „მა“ ცვლის, თუ მოსდევს სონორი „მ“ (ძონენიძე 1973: 207). კ. კუბლაშვილი მიიჩნევს, რომ ორ „მ“-ს შორის მოქცეული „ო“ დისიმილაციის შედეგად რეალიზებულია „ა“-დ (კუბლაშვილი 1985: 24).

ზოგიერთ კილოში „მო“ ზმნისწინის „ო“ ელემენტის „ან-ით“ შეცვლა ზოგჯერ შეპირობებულია ზმნის პირთა ცვლით. მაგალითად, კახურში პირველსუბიექტურ და მეორე ობიექტურ პირთან ჩვეულებრივ გვევლინება „მო“, ხოლო პირველ ობიექტურ და მეორე და მესამე სუბიექტურ პირთან – „მა“ (მე მოვიტანე, შენ მოგიტანე; მე მამიტანე, შენ მაიტანე, მან მაიტანა) (მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956: 89-90). ქართლურში ასეთი შეპირობება არ ჩანს, მაგრამ ივრძნობა ერთგვარი მიდრეკილება, რომ პირველ ობიექტურ პირთან ჩვეულებრივ იყოს „მა“, ხოლო მეორე ობიექტურ პირთან – „მო“. მაგ.: მამარჩინა (კაზრეთი); ამამარჩინე (ქვემო აჩაბეთი)... შდრ. არც მოგარჩენ, არც წამალ მოგცემო (სვენეთი); მოქცემ (ქურთა, ლენინგორი, იკოთი) (იმნაიშვილი (1), 1974: 142, 89-90). ამ მონაცვლეობას ერთგვარი კანონზომიერება ახასიათებს: „ო იქცევა ა'დ მაშინ, როდესაც ზმნის თავკიდურ ბგერად გვაქვს ი ხმოვანი, ან მ ბილაბიალური თანხმოვანი. სხვა ბგერების წინ მო- უცვლელი რჩება. მაგალითად, ერთი მხრივ, გვაქვს ფორმები: მაიტანს და მამტანი, მეორე მხრივ: მონათლავს და მამნათლვლელი; ამამსწრო და ამოუსწვრიაო; მამწონს, მაგრამ: მოგწონს, მოსწონს (არაა მოსალოდნელი: მანათლავს, მაგწონს, მანწონს, ამოუსწვრიაო)” (სალარიძე 1978: 21).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზემოთ აღნიშნულ ცვლილებას დასაბამი უნდა მისცემოდა ოა პოზიციის და მხოლოდ შემდეგ გაეფართოებინა მოქმედების არე იმ გარემოცვაში, სადაც ამ ფონეტიკური ცვლილების საფუძველი არ არსებობს (თოფურია 1925: 131; სალარიძე 1978: 20).

შ. ფუტკარაძე კიდევ უფრო უღრმავდება აღნიშნულ პროცესს: „იმერხეულში დაახლოებით ასეთივე სურათია, მაგრამ შესამჩნევია ისიც, რომ თითქმის ყოველთვის ასეთი ცვლილება ხდება იქ, სადაც საფუძველია მომზადებული ასიმილაციისათვის და თანაც ეს ხდება

ძირითადად სუბიექტის მეორე და მესამე პირის ფორმებთან” (ფუტკარაძე 2016: 115).

იმერხეულში იშვიათად დასტურდება „მა” მეორე პირის ფორმასთანაც.მაგ.: ჩემი თორუნინა გამაგატანო; შენ იქილამ მაგიტანო?! (ფუტკარაძე 2016: 116).

„შემო” ზმნისწინის ფონეტიკურ ვარიანტებად დასტურდება: „შამო”, „შამა”. მაგ.: ლარჭმა შამომითვალა; სალთათი შამოხვევია; ულფანაი შამამიგდეს; შახვია ხალხი (ფუტკარაძე 2016: 116). კ. კუბლაშვილი მიიჩნევს, რომ „შამო” მიღებული უნდა იყოს „ამო”, „გამო”, „ჩამო”, „წამო” ზმნისწინთა ანალოგიით (კუბლაშვილი 1959: 252). ქ. ძონენიძე ქვემოიმერულ უხუთურ მეტყველებასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „შე” ზმნისწინის „შა”-დ ქცევისათვის აუცილებელია, რომ მას დაერთოს „მო” ზმნისწინი, სადაც ეს პირობა დაცული არ არის, იქ „შე” „შა”-ს ვერ იძლევა (ძონენიძე 1973: 282). გ.ცოცანიძე „შამო” ვარიანტს „შე” და „შა” პრევერბთა ანალოგიის საფუძველზე მიღებულად თვლის (ცოცანიძე 1976: 117). გრ. იმნაიშვილის დაკვირვებით, აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი „მა” და „შა” ზმნისწინთა არსებობა გამოხატავს ზმნისწინების ხმოვნითი ელემენტების გაერთფეროვნებისაკენ მისწრაფებას (იმნაიშვილი 1974(1): 41).

შ. ფუტკარაძე მიიჩნევს, რომ იმერხეული ზმნურ ფუძეებში რეალიზებული ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესების შედეგების გათვალისწინებით ახლოს დგას ლივანურ მეტყველებასთან, ორივე კი აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან (მესხურ-ჯავახური, ქართლური), ვიდრე დასავლურთან. იმერხეული აღმოსავლური კილოების რიგში დგას. მართალია, იმერხევი და ზემოაჭარის დიდი ნაწილი (მირათის ხევი) ტერიტორიულად საკმაოდ მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს (მხოლოდ აჭარა-შავშეთის ქედი ჰყოფთ მათ), მაგრამ განსხვავებულობა მათ მეტყველებაში საკმაოდ შეინიშნება, ეს კი შეპირობებულია ამ მხარეების ისტორიით. იმერხევი, როგორც კლარჯეთის ნაწილი, ოსმალთა ბატონო-ბამდე შედიოდა ზემო ქართლში, ხოლო აჭარა უფრო მეტად იყო დაკავშირებული დასავლურ ქართულ სამყაროსთან (ფუტკარაძე 2016: 114, 117).

ზმნისწინი	ფონეტიკური ვარიანტები
ა	ა > ე: ევდენ; ა > ი იმინვეია; ა > ო: ოურევ
გა	გა > ო: გოუტეხნიან; გა > გუ: გუუტეხნიან; გა > გე: გეითევა; გეეგცა; გა > გი: გიმიგნია
და	და > დე: დევნახოთ; და > დი: დიმიფაცქენა; და > დო: დოუკეთებია; და > დუ: დუუნერე; და > დი: დიმიანახევდა
ჩა	ჩა > ჩო: ჩოუფლავს; ჩა > ჩი: ჩიმიბარიეს; ჩა > ჩე: ჩეეტევა

წა	წა > წე: წევეთხავდი; წა > წო: წოულიან; წა > წი: წიგიყვან; წა > წუ: წუძღვება
შე	შე > ში: შიაცენებენ; შე > შუ: შუეშვებენ; შე > შო: შოუნვან; შე > შა: შაასვენე
მო	მო > მე: მეიპარეს; მო > მა: მაუტანა, მათვალიერა; მო > მუ: მუალულებენ
ამო	ამო > ამე: ამევედა, ამეილო; ამო > ამა: ამაავლეფე; ამო > ამუ: ამჟასხა
ჩამო	ჩამო > ჩამე: ჩამეიყვანე; ჩამო > ჩამა: ჩამაართვეს
წამო	წამო > წამე: წამეიყვანე; წამო > წამა: წამაასხა
შემო	შემო > შამე: შამეიღეს; შემო > შამო: შამომხედა; შემო > შამა: შამამიგდეს; შემო > შამუ: შამუერუგებენ
გადა	გადა > გედე: გედეიარ; გადა > გოდო: გოდოედებთან; გადა > გუღუ: გუღუეკვეთია
გადმო	გადმო > გადმუ: გადმუარდნილა.
გამო	გამო > გამა : გამამიციხვია; გამო > გამუ: გამუაკოჭებენ

ამრიგად, შ. ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულის“ მიხედვით იმერხეულ დიალექტში ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული ყველა ზმნისწინი (მხოლოდ ა, ე, ო ხმოვანზე დაბოლოებული, გარდა მი ზმნისწინისა) განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას და ასიმილაციისა და დისიმილაციის შედეგად წარმოქმნილი ვარიანტების სახით პარალელურად დასტურდება. ამ მხრივ იმერხეული ახლოს დგას მესხურ-ჯავახურსა და ქართლურთან.

დამონშებული ლიტერატურა

თოფურია 1925: თოფურია ვ., ქართლური: არილი. თბილისი, 1925.
იმნაიშვილი 1974(1): იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა. თბილისი, 1974.
იმნაიშვილი 1974(2): იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, II, ტექსტები. თბილისი, 1974.
კობერიძე 2015: კობერიძე მ., ზოგი ფონეტიკური ცვლილებებისათვის ქართლურში. სამეცნიერო შურნალი „ენა და კულტურა“, №14. ქუთაისი, 2015.
კუბლაშვილი 1985: კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი. თბილისი, 1985.
მარტიროსოვი... 195: მარტიროსოვი არ., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი. თბილისი, 1956.

- ნიჟარაძე 1961:** ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი. ბათუმი, 1961.
- ნიჟარაძე 1975:** ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი. ბათუმი, 1975.
- სალარიძე 1978:** სალარიძე თ., ალგეთის ხეობის ქართლური. თბილისი, 1978.
- სომხიშვილი 1968:** სომხიშვილი ვ., ქსნის ხეობის მეტყველება. თბილისი, 1968.
- ფუტკარაძე 1993:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.
- ფუტკარაძე 2016:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე. ბათუმი, 2016.
- ცოცანიძე 1976:** ცოცანიძე გ., პრევერების „შე“ და „შა“ დიალექტური ვარიანტების ისტორიული შემდგომადობის საკითხი. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), I. თბილისი, 1976.
- ძონენიძე 1973:** ძონენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი. თბილისი, 1973.
- ჯორბენაძე 1998:** ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, ტ. II. თბილისი, 1998.